პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 9 დეკემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

კომუნისტი

№ 669 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა

საველე ელს. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. სადულის განთავისუფლებს საფრანგეთის პროლეტარიატი.

ამ დღეებში საფრანგეთში დააპატიმრეს ცნობილი რევოლიუციონერი-კომუნისტი ამხანაგი ჯაკ სადული.

ამხანაგი სადული ეკუთვნის იმ შეუდრეკელ რევოლიუციონერების რიცხვს, რომლებმაც ფარდა ახადეს იმპერიალიზმის მტაცებელ გეგმებს და აშკარად გადავიდენ კომპარტიის რიგებში.

1917 წელში, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, ამხ. სადული ჩამოვიდა რუსეთში, საფრანგეთის სამხედრო მისიასთან ერთად.

მიუხედავათ იმისა, რომ ის იყო ამ მისიის წევრი, მან, როგორც პატიოსანმა რევოლიუციონერმა, არ გაიზიარა ხსენებული მისიის შავი ზრახვები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დაჰგმო ისინი და გადავიდა კომპარტიის რიგებში.

სადულის ასეთმა საქციელმა, ცხადია, საშინლად გააბრაზა საფრანგეთის იმპერიალისტური მთავრობა.

ბურჟუაზიულმა სასამართლომ მას მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ამიტომ სადული დღემდი იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში და განაგრძობდა თავის რევოლიუციონურ მოღვაწეობას.

როდესაც საფრანგეთის ახალმა მთავრობამ იცნო იურიდიულად საბჭოთა კავშირი და დაჰგმო წინა მთავრობის პოლიტიკა, რასაკვირველია, სადულსაც მიეცა საშვალება საფრანგეთში დაბრუნებისა.

მაგრამ ბურჟუაზიამ თავისი ჰქნა.

სადული, დაბრუნების მესამე დღესვე, დაპატიმრებულ იქნა პოლიციის მიერ.

ერიოს მთავრობამ ამ საქციელით კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომ ის არსებითად არაფრით არ განსხვავდება პუანკარეს მთავრობისაგან და ისეთივე ყურმოჭრილი მონაა იმპერიალიზმის, როგორც ეს უკანასკნელი იყო.

საფრანგეთის კომუნისტურ პარტიამ სასტიკი გალაშქრებით უპასუხა მთავრობას ამხ. სადულის დაპატიმრებაზე.

საფრანგეთის კომუნისტებმა უკვე აამოქმედეს მთელი თავისი პარტიული აპარატი ამხ. სადულისათვის ამნისტიის მოსაპოებლად.

უნდა ვიფიქროთ, რომ საფრანგეთის მთავრობა ამ შემთხვევაში ერთგვარ გონიერებას გამოიჩენს და დააჩქარებს ამხ. სადულის სრულ განთავისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთის პროლეტარიატი კვლავ აღიმაღლებს თავის საპროტესტო ხმას და იმნაირადვე მიანიჭებს სადულს თავისუფლებას, როგორც მარტის მოუპოვა.

თუ აქამდი მიიყვანა საქმე ერიომ, მით უარესი მისთვის, ვინაიდან მაშინ ის იძულებული გახდება თავისუფლება მიანიჭოს არა მარტო სადულს, არამედ სხვა რევოლიუციონერებსაც, რომლებიც იმყოფებიან საფრანგეთის საპყრობილეთა ჯურღმულებში.

„ყველა მუშების საყურადღებოდ“

(„პრავდას“ წერილი.)

ამ სათაურით გაზეთ „პრავდაში“ მოთავსებულია შემდეგი წერილი: „ესტონეთის ამბებთან დაკავშირებით იწყება კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთი იყო ესტონეთის ბურჟუაზიისა და მისი მფარველების გეგმა.

ეხლა, როცა აჯანყება არ არის სრულიად ჩაქრობილი, ესტონეთის მთავრობა ყოველ დღე აწარმოებს მუშების ხვრეტას.

სოციალ-დემოკრატები თავის დროს ხმაურობდენ საქართველოს რეპრესიების გამო, რომელიც მიმართული იყო აზნაურების, თავადების, ბურჟუაზიის და უცხოეთის კაპიტალის აგენტების წინააღმდეგ. მაგრამ დღეს ისინი არამც თუ სდუმან, პირიქით ისინი კვერს უკრავენ გენერლებსა და ჯალათებს. ისინი მხარს უჭერენ გენერალ ლაინდონერის ჯალათურ დიქტატურას; ისინი მომხრე არიან მუშების დასჯის. აი მათი ნამდვილი გამცემლური სახე.

სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ დღეს დახმარების ძებნა მკვლელთა რაზმებთან და საეჭვო პირებთან. ეს არის ის სოციალ-დემოკრატია, რომელიც უკანასკნელ წლებში ემსახურება ბურჟუაზიის საზიზღარ ზრახვებს.

დღეს იმის ნაცვლად, რომ მხარი დაუჭიროს პატიოსან მუშათა პროტესტს, „საერთაშორისო“ სოციალ-დემოკრატია საჭიროდ სცნობს უფრო მეტად წააქეზოს ბურჟუაზია პერსელის წინააღმდეგ. აქ უკვე აღარ იცი რა სთქვა, ვინაიდან არ აქვს საზღვარი სოციალ-დემოკრატების გათახსირებას.

მაგრამ გახსოვდეთ, ვაჟბატონებო! ყოველი თქვენი ბოროტება ინიშნება პროლეტარიატის მეხსიერებაში. პროვოკატორები დიდ ხანს ვერ გასძლებენ თავიანთ სავარძლებში. მათ მოსთხოვენ იმ სისხლს, რომელსაც დღეს ისინი სვამენ.“

მოლაპარაკება იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის ვითომ საბოლოო არის?

იაპონიის მთავრობამ გამოიმუშავა ახალი ინსტრუქციები საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების საქმეში.

იაპონიის გაზეთები აცხადებდენ, რომ იაპონიის წინადადებები „საბოლოო არის“ და თუ საბჭოთა კავშირი არ დასთმობს შეურიგებლობის პოზიციას, იაპონია უარს გააცხადებს მოლაპარაკებაზეო.

გაზეთების სიტყვით იაპონია თანახმა იქნება გადასცეს საბჭოთა კავშირს კუთვნილი სახალინის ნაწილი, მხოლოდ ჯარს დატოვებს იქ, სანამ ჯარების გაყვანა არ იქნება შესაძლებელი.

ესტონეთის ამბების შესახებ.

გლეხთა აჯანყება.

რეველის მატარებლით ჩამოსული მგზავრები მოგვითხრობენ, რომ 4 დეკემბერს რეველის ახლო სოფლებში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ.

აჯანყება საჩქაროდ ჩააქრო რეველიდან გამოწვეულმა ჯარებმა, რომლებმაც დასწვეს რამოდენიმე გლეხთა სახლი.

ჯალათები ხვრეტენ რევოლიუციონერებს.

პოლიციის გაძლიერებული რაზმი გარს შემოერტყა ერთი გლეხის ოჯახს, სადაც იმალებოდენ აჯანყების მეთაურები, რომლებმაც აუტეხეს პოლიციელებს სასტიკი ბრძოლა.

ხანგრძლივი სროლის შემდეგ პოლიციამ აამუშავა ხელით სასროლი ბომბები.

მოკლულ იქნა პირველი სახელმწიფო კრების დეპუტატი კომუნისტი ალიკსონი და კომუნისტი ზომერლინგი.

პოლიციელების სიტყვით ზომერლინგი ხელმძღვანელობდა აჯანყებას.

იპოვეს აგრეთვე მესამე გვამი, რომელიც ჩამოჰგავს კომუნისტ ანველტს, მაგრამ სახე იმდენად აქვს გაფუჭებული, რომ დანამდვილებით ცნობა შეუძლებელია.

მემამულეთა პოლონეთში.

ლოძის მუშათა საერთო გაფიცვები.

უკანასკნელად გადაწყვეტილ იქნა საერთო გაფიცვების გამოცხადება. გაფიცვები ჩატარდა ხუთშაბათს, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამრეწველო წრეებზე და მთავრობაზე. განახლდა მოლაპარაკება სამედიატორო კომისიის შექმნის შესახებ.

ფაშისტების სამეფოში.

შავრაზმელები იწონებენ შავ საქმეებს.

იტალიის სენატმა დიდი ხმის უმეტესობით მოიწონა მთავრობის საქმიანობა საშინაო პოლიტიკაში.

უთანხმოება ინგლისსა და ეგვიპტეს შორის.

გამოცდილი მოსამსახურე.

სუდანის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი ჯავრეი ფრენსის არჩერი.

1914 წელს ის იყო სომალის გენერალ გუბერნატორი (აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში) სადაც სასტიკად ახშობდა ადგილობრივ მკვიდრთა ყოველგვარ გამოსვლებს.

ამხ. კრასინი პარიზში.

საუბარი ერიოსთან.

6 დეკემბერს საფრანგეთის პრემიერმა ერიომ მიიღო ამხ. კრასინი, რომელთანაც ითათბირა 20 წუთი. კრასინმა გადასცა ერიოს თავისი რწმუნებულობის ბარათი.

ამხ. კრასინი დე-მონზისთან.

საბჭოთა კავშირის სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა კრასინმა და საელჩოს პირველმა მდივანმა ვოლინმა ინახულეს საფრანგეთის სენატორი დე-მონზი.

ამხ. კრასინი ერიოსთან.

6 დეკემბერს კრასინი მიიღო საფრანგეთის პრემიერმა ერიომ.

კრასინი მიესალმა ერიოს და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა მას დაავალა იხმაროს ყოველი ღონისძიება, რათა დამყარებულ იქნას ორივე სახელმწიფოს შორის სასურველი ურთიერთობა.

საპასუხოდ ერიომ განაცხადა, რომ ის მეტად კმაყოფილია, როცა ხედავს თავის ქვეყანაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს. შემდეგ მან აღნიშნა, რომ ის იცავს იმ პრინციპებს, რომელიც მან უკვე გამოსთქვა მოსკოვში ყოფნის დროს. ხოლო თუ მან საჩქაროდ ვერ იცნო საბჭოთა კავშირი, ეს იმიტომ, რომ მას წინ უდგა მრავალი გადაუდებელი საკითხები. ცნობა მოყვა ინგლისთან მოლაპარაკების დასრულებას გერმანიის შესახებო.

დუარენში მომხდარ ამბების შესახებ.

ფიცი მწამს ბოლო-მაკვირვებს

ერიოს არ მოსწონს კომუნისტების გაძლიერება.

დუარენში (საფრანგეთშია) ამ დღეებში გაფიცულ მუშებს სროლა აუტეხა ჟანდარმთა რაზმებმა. ამის შესახებ კომუნისტმა კაშენმა განცხადება შეიტანა დეპუტატთა პალატაში.

კაშენი ამტკიცებდა, რომ ჟანდარმებმა პროვოკაცია მოაწყვეს გაფიცულთა შორისო.

ერიომ ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ შეუშლის მუშებს ხელს ეკონომიურ ბრძოლაში, მაგრამ ის წინააღმდეგია ყოველგვარი ძალდატანებითი ხასიათის მანიფესტაციის, მიუხედავად იმისა, თუ ვინ აწყობს მას, კლერიკალები თუ კომუნისტებიო. ამას გარდა ერიომ განაცხადა, რომ უცხოელთა შორის ჩვენში ბევრი კომუნისტებია, რომლებიც მონაწილეობენ პოლიტიკურ გამოსვლებში, რასაც ჩვენი მთავრობა ვერ შეურიგდებაო.

მისალმების წერილი პალესტინის კომპარტიისაგან.

რკპ·ს ცეკამ მიიღო მისალმების წერილი პალესტინის ცენტრალური კომიტეტისაგან; ეს წერილი გამოგზავნილი იყო ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისათვის, მაგრამ დაგვიანებით მიიღო მოსკოვმა. წერილში ნათქვამია; „ინგლისის იმპერიალისტები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებენ სახალხო გამათავისუფლებელ მოძრაობას სუდანში, მესოპოტამიაში და პალესტინაში. საფრანგეთის ჯალათები სიკვდილით დასჯიდა და ციხეებით იბრძვიან ნაციონალურ მოძრაობის წინააღმდეგ სირიაში და ლივანში. ისინი სცდილობენ ჩაუნერგონ მასებს უნდობლობა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნიზმის მიმართ. მაგრამ მიუხედავად იმისა აღმოსავლეთის ქვეყნების კომპარტია მაინც ძლიერდება.

ჩვენი გამარჯვების მეშვიდე წლის თავზე ჩვენ შეგვიძლია მოგილოცოთ სირიის კომპარტიის დაარსება. მთელი ჩაგრული ქვეყნები თქვენთან არიან“.

ვინ არის სადული

სადული პროფესიით ვექილია. ომამდე ის იყო საფრანგეთის სოციალისტ. პარტიის წევრი. სადული პირადი მეგობარი იყო ალბერტ ტომას (მომარაგების მინისტრი ომის დროს). სადული სამხედრო მისიასთან ერთად გაგზავნილ იქნა რუსეთში, როგორც ცნობების მიმწოდებელი. სადული იმ დროს სათადარიგო ოფიცერი იყო (კაპიტანის ჩინში).

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ სადული დაუახლოვდა ბოლშევიკებს, თავდა პირველად მისი პოლიტიკა იყო გამოეყენებია ბოლშევიკები ომის მიზნებისთვის. ამიტომ ის იცავდა საფრანგეთის მთავრობის ინტერესებს. მაგრამ სადული თანდითან დაუახლოვდა ბოლშევიკებს.

1919 წელს სადული დაესწრო კომინტერნის პირველ კონგრესს, როგორც მოსკოვში მყოფი ფრანგი კომუნისტების ჯგუფის წარმომადგენელი. მეორე კონგრესზე ის დაესწრო, როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი (საფრანგეთში მაშინ არ ყოფილა კომპარტია) ამის შემდეგ სადული სცხოვრობდა და მუშაობდა საზღვარ გარედ საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით.



1919 წელს სადულს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს (დაუპირავად, წინა'წარ) საბჭოთა ხელისუფლებასთან კავშირის დაჭერისათვის.

სადულის გასამართლების წინ.

სადული გადაიყვანეს ქალაქ ორლეანის ციხეში. აქ მის საქმეს გაარჩევს სამხედრო სასამართლო.

სადულის და პოლიტპატიმართა ამნისტიისთვის.

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ სადული უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა საბჭოთა კავშირში და ჩამოვიდა პარიზში თავის ნებითო. სადულისა და კრასინის ერთ და იმავე დროს ჩამოსვლა შემთხვევითია. სადული რომ კომპარტიის დავალებით მოსულიყო პარიზში, მას ადვილად ვერ დააპატიმრებდენ. საფრანგეთის კომპარტია მოითხოვს სადულის და ყველა პოლიტპატიმართა ამნისტიას. ის ამ დღეებში მოაწყობს პარიზის რაიონებში დემონსტრაციებს ამნისტიისათვის.

სადულის დაპატიმრების შესახებ.

რისთვის ჩავიდა სადული პარიზში?

სადული ჩავიდა პარიზში, რათა გადაესინჯა ის სასამართლოს პროცესი, თუ როგორ მიუსაჯეს მას სიკვდილი წინასწარ, დაპატიმრებამდის.

ამის შესახებ საფრანგეთის კომპარტიის მდივანმა მერანმა როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „საქმე არა მარტო სადულის პიროვნებაშია, არამედ საერთოდ პოლიტიკურ ამნისტიაში. საფრანგეთის პარტია უსათუოდ იბრძოლებს და მოუწოდებს საფრანგეთის მუშათა კლასს ბრძოლისაკენ არა მარტო სადულის, არამედ საფრანგეთის ციხეებში გამომწყვდეულ ყველა პროლეტარულ მებრძოლთა გათავისუფლებისათვის“.

ჩინეთის ამბები.

მდგომარეობა კვლავ გართულდა.

მოსალოდნელია ხელახალი ჩარევა ჩინეთის საქმეებში.

მდგომარეობა შან-ხაიში კვლავ გართულდა. შან-ხაის გუბერნატორმა არ მიიღო პეკინის მთავრობის მიერ დანიშნული წარმომადგენელი. მას სურს თავისი წარმომადგენლის დანიშვნა.

უ-პეი-ფუს შტაბის შეპყრობა.

უ-პეი-ფუს შტაბი ხელში ჩაიგდო ხუჩინისის ჯარებმა. უ-პეი-ფუს საკუთარი მცველი რაზმი აჯანყდა. პეკინის მთავრობა უარყოფს ცნობებს უ-პეი-ფუსთან ზავის ჩამოგდების შესახებ.

პეკინში ემზადებიან სუნ-იატ-სენის შესახვედრად.

პეკინის ოფიციალური წრეები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ემზადებიან სუნ-იატ-სენის შესახვედრად.

ჩინეთის პრესა იუწყება, რომ სუნ-იატ-სენის მოსალოდნელმა ჩამოსვლამ პანიკა (შიში) გამოიწვია დიპლომატიურ კვარტალში.

როგორ შეხვდენ სუნ-იატ-სენს ტიან-ცზინში.

სუნ-იატ-სენს დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ ტიან-ცზინში. ხალხი მას შეეგება დროშებით, რომლებზედაც იყო შემდეგი წარწერები: „გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციის მამას-სუნ-იატ-სენს.“ „ძირს უცხოელ სახელმწიფოების იმპერიალიზმი! ჩვენ მოვითხოვთ უთანასწორო ხელშეკრულებათა დარღვევას“ და სხვა.

ტიან-ცზინი მორთულია ნაციონალურ დროშებით.

საბჭოთა კავშირში

ხორბლეულის დამზადება ნოემბერში.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პურის დამზადების საქმე დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. ნოემბრის თვეში გეგმის თანახმად უნდა დაემზადებიათ 35 მილიონი ფუთი ხორბალი. დამზადებულ იქნა 38 მილიონი ფუთი.

კავშირის საჭიროება მასწავლებელ და პოლიტხელის შორის.

მასწავლებელი მომზადებული უნდა იქნეს პოლიტიკურად.

(დასასრული.)

როგორ, განა იგივე მასწავლებელი თუ გინდ ანბანის სწავლების დროს გვერდს აუვლის პოლიტიკურ საუბარს? არა, პირიქით მასწავლებელმა უნდა გაარღმაოს თავის გაკვეთილზე ის საუბარი, რომელიც პოლიტხელს ქონდა პოლიტსაათზე. იქნებ ზოგიერთს ეს მოუხერხებლათ მიაჩნდეს ანბანის სწავლების დროს?

რა თქმა უნდა ამას გამოუცდელი მასწავლებელი თუ იფიქრებს, თორემ გამოცდილმა მასწავლებელმა იცის, რომ სანამ ის ახალი ასოს გააცნობდეს მოსწავლეებს (სულ ერთია რა მეთოდითაც არ უნდასწარმოებდეს სწავლება) ის მაცადინეობას იწყებს უთუოთ შესავალი საუბრით. თუ გინდ ავიღოთ მაგალითისთვის სახელმძღვანელო „სინათლისაკენ“-ში მოთავსებული მასალა: „**წითელია ეს დროშა**“, რომლის მიზანია გაცნობა რომელიმე ახალი ასოსი. განა მასწავლებელი წინასწარ არ აწარმოებს პოლიტიკურ საუბარს დროშის შესახებ?

უსათუოდ უნდა აღინიშნოს მან თავის წინასწარ საუბარში თუ რა არის წითელი დროშა, რისი სიმბოლოა ის, რაოდენი რევოლიუციონერთა სისხლი დაიღვარა რევოლიუციონურ მოძრაობის პროცესში ამ დროშას მოსაპოვებლათ. შეიძლება საუბარი და ძალიან ბევრიც, მაგრამ ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უსათუოდ უნდა დაიჭიროს თავი, რომ მისი მაცადინეობა სულ პოლიტსაათათ არ გადაიქცეს. ის მხოლოდ აწარმოებს საგნის შესახებ მოკლე კონსპექტიურ საუბარს.

ან თუ გნებავთ კიდევ, ანბანის გათავების შემდეგ იმავე სახელმძღვანელოში მოთავსებულ მასალის „შრომისაკენ“ შესწავლის დროს, მასწავლებელი არ აუხსნის თავის მსმენელებს თუ რა არის შრომა რად რა სახისაა, რა ღირებულების, როგორ იმონებს შრომას კაპიტალი, როგორ ყვლეფავს კაპიტალისტი მშრომელს და სხვა. ცხადია, ყველა მასწავლებელი ასე მოიქცევა, მაშასადამე ნათქვამიდან ცხადათ სჩანს, რომ პოლიტხელის და მასწავლებლის მიზანი ერთი და იგივეა; მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ მასწავლებელი პოლიტიკურ მაცადინეობასთან დაკავშირებით აწარმოებს აგრეთვე წერა-კითხვის სწავლებასაც.

რაც მეტი მჭიდროდ იქნებიან ერთმათეთთან დაკავშირებული ეს ორი მუშაკი, მით უფრო ადვილათ და ნაყოფიერათ მიაღწევენ საერთო მიზანს.

სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ, ალბათ, ჩვენ ჯარში პოლიტიკურ-კულტურულ მუშაობის მეთაურები, როცა შემოიღეს მასწავლებელთათვის სავალდებულო დასწრება პოლიტსაათზე (თუმცა არც პოლიტხელებისათვის იქნებოდა ზედმეტი მასწავლებელთა მეცადინეობაზე დასწრება, მაგრამ ამის შესახებ ცალკე წერილში.)

რა არის უმთავრესი მიზანი ამ დასწრების? ზოგს გვონია მასწავლებელთა პოლიტიკურათ მომზადება, შეიძლება ესეც საჭირო იყოს, მაგრამ ეს უფრო სხვა საშუალებით უნდა მოეწყოს; ამ დასწრების მიზანია დაახლოვება პოლიტხელთან, გაცნობა ყოველდღიურ მის მუშაობისა, და მასთან შეფარდებით და დაკავშირებით შემდეგი გაკვეთილის გაგრძნობა; გარდა ამისა მასწავლებელმა უნდა აღნუსხოს ის შეცდომები, რომელიც პოლიტხელმა დაუშვა პედაგოგიური თუ მეთოდიურის თვალსაზრისით. (შემდეგ ამ შეცდომების გარჩევა უნდა მოხდეს პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, რომელზედაც უნდა უსათუოდ ესწრებოდენ ყველა პოლიტხელები).

ასე გვესმის ჩვენ ამ დასწრების მიზანი,

დ. მ—ი.

ხალხის ჯალათების გასამართლებ

ბოქაული მახარაძის, კედიას და სხვათა საქმ

სხდომის მეორე დღე.

ხალხის ჯალათების გასამართლება ქიათურაში თანდათან დიდ ინტერესს იწვევს ხალხში. სხდომის მეორე დღესაც აუარებელი ხალხი მოაწყდა სასამართლოს შენობას.

ყველას სურს სხდომას დაესწროს, მაგრამ დარბაზი ყველას ვერ იტევს და ბევრი გულდაწყვეტილი ბრუნდება უკან.

პირველ დღეს სასამართლომ მოასწრო მხოლოდ საბრალდებულო ოქმის წაკითხვა. ის რამოდენიმე გვერდს შეიცავს.

სასამართლოს შეკითხვაზე ბრალდებული მახარაძე დამნაშავეთ სცნობს თუ არა თავს, მან უპასუხა, რომ დამნაშავეთ არ სცნობს თავს, რადგან ის მოქმედებდა თანახმად მაშინ არსებულ კანონებისა.

ამის შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას. პირველად ეკითხებიან მახარაძის და კედიას მოწმეებს.

მოწამე ჭაჭიაშვილი ცდილობს მახარაძის გამართლებას და ამ მიზნით ის მოუთხრობს სასამართლოს, რომ მახარაძე მამაშვილურად ეპყრობოდა გლეხებსო. ჭაჭიაშვილის ჩვენება საშინელ აღშფოთებას იწვევს საზოგადოებაში. ხალხში ისმის ხმები: სტყუის. ის მარჯვენა ხელი იყო მახარაძისო.

შემდეგი მოწამე ქეიშვილი აუწერს სასამართლოს გაფრინდაშვილის ოჯახის აწიოკებას. მოწმის ჩვენებით მახარაძეს თავის ხელით დაუწვავს გაფრინდაშვილის სახლ-კარი.

ყველაზე უფრო საყურადღებოა მოწმე კუპრაშვილის
ჩვენება. ის 1905 წ. რევ
ლიუციაში აქტიურ მონაწ
ლეობას ღებულობდა და ამ
ტომ მან თავის ზურგზე სცა
მახარაძის და მისი ამხანაგებ
სუსხი. მან გადაუშალა სასამ
რთლოს მახარაძის მოქმედებ
საშინელი სურათი. ის შეეხ
გენერალ ალიხანოვ—ავარსკ
დამსჯელ ექსპედიციის მხეც
ბას, რომელიც ცეცხლით
მახვილით ანადგურებდა ს
ყველაფერს. არ ინდობდენ ძ
ძუ მწოვარ ბავშვებსაც
ალიხანოვის დაუთავებელ სა
მეების დამთავრებას შეუდ
მახარაძე.

მახარაძემ, ქიათურაში მო
ვლისთანავე, გარს შემოიკრ
ბა რევოლიუციით უკმაყოფ
ლო შავრაზმელები და დაი
ყო თარეში. ცემა-ტყეპას, წ
მებას, დაცინვას არ უჩან
დასასრული.

მოწმე კუპრაშვილს მ
ყავს მაგალითების მთელი რ
გი მახარაძის მხეცური მოქმე
დებებიდან, რაც საზოგადო
ბაში იწვევს ზიზღს და გულ
წყრომას ბრალდებულებისა
მი.

კუპრაშვილის შემდეგ დაკ
თხულ იქნენ მოწმეები კვა
ტრაშვილი და გაფრინდაშვ
ლი.

სასამართლომ ოცამდე მოწ
მის დაკითხვა მოასწრო.

დაკითხული მოწმეები ერთ
ხმად აღნიშნავდენ მახარაძ
და მის კამპანიის საგმირო საქ
მეებს.

შემდეგი სასასამართლო
სხდომა მოხდება ყვირილაშ

ინჟენერთა ყრილობა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

დამთავრდა სრულიად რუსეთის ინჟენერთა ყრილობა.

ა. ხ. რიკოვის მოხსენების გარშემო ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„საბჭოთა მთავრობამ დაისახა უმთავრეს მიზნად გახადოს მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევები ხალხის სასარგებლოდ.

ყრილობა აცხადებს, რომ
ამ ამოცანის ასასრულებლა
საბჭოთა კავშირს ინჟენერებ
სახით ჰყავს გულწრფელი დ
საიმედო თანამშრომლები.

ყრილობა ესალმება საბჭ
თა მთავრობის საერთაშორის
პოლიტიკას, რომელიც მიმარ
თულია ქვეყნის ეკონომიურ
დამოკიდებულების უზრუნველ
ყოფისაკენ.

სრულიად კავშირის ინჟენერთა ყრილობა.

9 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნება სრულიად კავშირის ინჟენერთა ყრილობა. ყრილობაზე მოწვეულია უცხოეთის ინჟენერთა პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლ
ბი.

კომკავშირთა შობა.

მოსკოვში კომკავშირელთა შობის დღესასწაული ჩატარებულ იქნება 25 დეკემბერს. სოფლად ის შეუფარდდება საეკლესიო უქმეს და მოეწყობა ფართე მოხსენებები შემდეგ თემაზე: სარწმუნოება და მეცნიერება, კლასიური ბრძოლა დ
სხვა. მოხსენებასთან ერთად ჩა
ტარებულ იქნება ინსცენირო
ვკები.

ქალთა მუშაობა გლეხკომებში.

ქალები თან და თან გამოდიან საზოგადოებრივ ასპარეზზე

გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების არჩევნებში დიდ მონაწილეობას იღებენ ქალები.

ტამბოვის გუბერნიის ექვს მაზრაში გლეხკომებში არჩეულ იქნა 309 ქალი, გომელის გუბერნიაში 534, სარატოვის გუბერნიაში 22“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წითელი ჯარი

ყურადღება საჭირო.

მეთაურთა სკოლის პარიკმახერების მდგომარეობა.

დღიდან დაარსებისა ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლას აქვს თავისი საპარიკმახერო, სადაც ოთხი წითელ არმიელის ჯამაგირით აყვანილი მომუშავეები მსახურობენ. მთელი დღეების განმავლობაში შეუსვენებლად უხდება პარიკმახერებს მუშაობა და მათ საცხოვრებელ ბინაზე კი არავინ ფიქრობს.

პირველად ისინი მოთავსებული იყვნენ ერთ ოთახში, მაგრამ ჩამოერთვათ და ვიღაც უფროს გადასცეს. შეჰპირდენ, დროებით თქვენს სამუშაო ოთახში მოთავსდით და შემდეგ გადაგიყვანთ სხვა ოთახშიო. გადის დღეები, თვეები და მათი ოთახის შესახებ არავინ ფიქრობს.

დღეში ას კაცზე მეტს პარსავენ ეს ამხანაგები; ოთახში საშინელი პაპიროსის კვამლი სდგება და სხვა. ასეთ ატმოსფერაში უხდებათ მუშაობის შემდეგ ღამე გაათიონ პარიკმახერებმა.

ჰიგიენურად ეს დაუშვებელია.

საჭიროა სკოლის სანიტარულმა კომისიამ შესაფერი ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და თუ პარიკმახერები საჭირონი არიან, შესაფერი ბინა და საცხოვრებელი პირობებიც შეუქნან მას.

მ. მ.

კულტურულ ფრონტზე.

მეორე ქართული დივიზიის საკავშირო ასეულის ცხოვრებიდან.

დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულში მართალია ბევრ მოლაშქრეებს არა აქვთ თავი მოყრილი, მაგრამ აქ გაჩაღებული კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ფრიად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ასეულს აქვს შესაფერისად მოწყობილი ლენინის კუთხე და სამკითხველო.

გვაქვს ყოველ-ორკვირეული კედლის გაზეთი, რომელშიდაც უმთავრეს მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელები. გაზეთი „წითელი კავშირელი“ (ჩვენი გაზეთის სახელწოდებაა) ყოველთვის ლამაზად იცემა და საკმაოდ იზიდავს მკითხველებსაც.

მხატვრობა, მიმზიდველი და შინაარსიანია. გაზეთის თავში გამოხატულია სხვა და სხვა მომენტები ჩვენი მუშაობიდან. მასალების დალაგება ჩვეულებრივია. შინაარსით კი ძლიერ მრავალ ფეროვნად უნდა ჩაითვალოს „წითელი კავშირელი“

მკითხველი აქ ყველაფერს ჰპოვის. შინაარსიანი მეთაური, წერილები ასეულის ცხოვრებიდან, ლექსები, იუმორისტული განყოფილება, ფელეტონი, ქრონიკა, ჩვენი ფოსტა და სხვა. შიგადაშიგ გაზეთის სვეტებში გაშვებულია მოხდენილი კარიკატურები.

პირველი ნომერი ცოტა მოისუსტებდა ნაწერის სილამაზეში, ხოლო მეორე და მესამე ნომრები საგრძნობლად გამოკეთდა.

გაზეთი 4-5 დღე გაკრულია ყაზარმაში, ხოლო შემდეგ კი ეგზავნება დივიზიის პოლიტ-განყოფილებას და სამაზრო პარტკომს.

ასეულში დაარსებულია აგრეთვე სხვა და სხვა წრეები, რომლებშიაც წითელ არმიელები გულ-მოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას.

დივიზიის პოლიტ-განყოფილებამ ამას წინად მოახდინა წრეების შემოწმება. შედეგი დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

ხშირად ვაწყობთ ლიტერატურულ გასამართლებებსაც. ამას წინად გავასამართლეთ ე. ნინოშვილის მოთხრობის გმირი ტარიელ მკლავაძე, რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მოლაშქრეებზე.

სამხკორი **სერმონია.**

ცალკე საკავშირო ასეულში.

2 დეკემბერს შესდგა პირველ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის საერთო კრება, რომელსაც დაესწრო სრულიად წითელ არმიელთა და უფ-პოლიტშემადგენლობა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება რემედასის მნიშვნელობის შესახებ, სახალხო მსაჯულების არჩევა, სამნეო დამხმარე ჯგუფის არჩევა და მიმდინარე საკითხები. რემედასის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლიძემ, რომელმაც დაახასიათა მისი დიდი მნიშვნელობა და აღნიშნა თუ რა დიდ დახმარებას უწევს ის ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაპატიმრებულ რევოლუციონერებს. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე რემედასის უჯრედების მუშაობა და მიღწევები. კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ არც ერთი წითელ-არმიელი და უფ-პოლიტშემადგენლობა არ უნდა დარჩეს რემედასის გარეშე. მეორე საკითხის შესახებ ამხ. სამხკომი ახასიათებს ძველსა და ახალი მსაჯულების მუშაობასა და როლს, რის შემდეგ არჩეულ იქნა მსაჯულებად ორი წითელი არმიელი.

სამნეო დამხმარე ჯგუფების მნიშვნელობასა და მოვალეობაზე მოხსნება გააკეთა ამხ. ხურცილავამ. არჩეულ იქნა სამნეო დამხმარე ჯგუფში სამი კაცი.

რემედასის უჯრედის წევრებად არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგები: ნუცუბიძე, ოდილავაძე, დიასამიძე.

მიმდინარე საკითხებში წამოყენებულ იქნა საკითხი საჰაერო ფლოტის დაარსების შესახებ ასეულში. ამ საკითხის გარჩევა კრებამ გადასდო შემდეგისათვის.

სამხკორი **შალიშინი.**

სამხედრო პოლიტ-სკოლის ცხოვრებიდან.

შვიდი დეკემბერია. თბილი, მზიანი იქნება დღე. ამას ვამჩნევთ დილიდანვე.

უნცროსი კურსის მსმენელები საექსკურსიოდ ემზადებიან.

გამოჰკრეს საგზალი და მხიარულად გაუდგენ გზას.

გავიარეთ თბილისის ქუჩები და შეუდექით ავჭალის გზას.

პირველად ვესტუმრეთ წყალსადანს. გულმოდგინეთ ათვალიერებდნენ კურსანტები ყველაფერს.

კაცო, მე მეგონა წყალი იქვეა მეთქი, ჩვენ ყაზარმასთან, თურმე დახე, რა სიშორიდან მოდის,-გაიძახის კურსანტი და თან ჩასჩერებიან საქაჩავს, რომელიც დღე-ღამ მიერეკება თბილისისკენ 500,000 ვედრო წყალს.

გავსწიეთ ზაჰესისკენ. გზაში გვხდებიან გლეხები, ჯგუფებათ და ბაასობდენ თავის ცხოვრებაზე; ჩვენ ვესალმებით მათ.

გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ ბიჭებო. თქვენ კი გენაცვალეთ, შვილებო. ჩემი სანდროაც ჯარშია, ლეგიონშია, მომიკითხეთ, უთხარით მაგრად იყვეს-გვაბარებს ხანში შესული გლეხი.

აი ზაჰესიც.

კურსანტები განცვიფრებაში მოდიან გრანდიოზულ მუშაობით.

ვათვალიერებთ მთავარ არხს. მოვდივირთ ზევით: აი კლუბი, სასადილო, კოოპერატივი.

ისმის სიცილი და არღნის ჰყივილი, მუშები შემოხვევიან მოხეტიალე ჯამბაზს, რომელიც მარდათ ათამაშებს შვიდიოდე დანას ერთი ხელით.

დავათვალიერეთ წყლის შესაგუბებელი ადგილი.

ყველაფერმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა კურსანტებზე.

ვეწვიეთ მცხეთასაც. ვნახეთ მცხეთის ტაძარიც.

სადგურისაკენ, გზაზე ვინახულეთ ყაჩაღ არსენას საფლავი.

„აქ განისვენებს ყაჩაღი,
ყველგან ცნობილი არსენა,
ხალხისგან კურთხეული.
ღმერთმაც კურთხევით
ახსენა.“

აწერია ქვაზე.

მოვიგონეთ არსენა, მისი ცხოვრება და ღვაწლი.

ნახე, თავადიშვილები, მეფის ჩამომავალნი იქ მარხიან, საყდარში, მარმარილოს ქვები ადევთ. არსენა კი აქა მიყრუებულ ადგილას დაუმარხავთ.

საწყალ კაცს ვინ აღირსებდა მაშინ პატივს. ძალა-უფლება ბატონების ხელში იყო.

ვენაცვალე არსენას. ბიჭი იყო მამაცი. ამიტომაა რომ ეხლაც ახსოვს ხალხს,-გაიძახის ერთი კურსანტი.

შებინდებული იყო, როდესაც დავბრუნდით თბილისში. კაშკაშა მთვარე დანათოდა ზაჰესს.

ცოტა კიდევ, მთვარე და ისეთი მეტოქე გაგიჩნდება, რომ დაგრჩდილავს,-გაიხუმრა ერთმა კურსანტმა.

ე. ხუციშვილი.

მეთაურთა სკოლა სოფ. წუნეთში.

ჩვენმა სკოლამ გადასწყვიტა სოფ. წუნეთში გამგზავრება, ადგილობრივ მშრომელ გლეხობასთან დაახლოების მიზნით.

გვეინტერესებოდა იმის გაგება თუ რა აწუხებდა გლეხებს, რა უფრო ესაჭიროებოდათ და სხვა.

6 დეკემბერს გაუდექით გზას. იშვიათ მხიარულებაში გავატარეთ მგზავრობა. მიუახლოვდით სოფელს, წუნეთის მშრომელი გლეხობა და ახალგაზრდობა დიდი ამბით შამოგვეგებენ წინ. ჩვენი მისვლა ძლიერ გაეხარდათ.

ცოტა ხნის შემდეგ თავი მოიყარა მთელმა სოფელმა და გავმართეთ მათთან საუბარი სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

მეორე მხრივ სოფლის ახალგაზრდობამ გამართა ცეკვა-თამაში და ჩვენი სამხედრო ორკესტრის ხმაზე ციბრუტივით ტრიალებდენ.

შემდეგ მოეწყო მიტინგი. სკოლის კომისარმა ამხ. ჰკუასელმა გააცნო გლეხებს ჩვენი იქ მისვლის მიზანი. კურსანტები კი მოუწოდებდენ გლეხებს წითელი ჯარის რიგებთან მტკიცე კავშირისაკენ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე. დაწვრილებითი ახსნა-განმარტებით იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯარის სოფლის გლეხობასთან დაახლოებას, რას წარმოადგენს წითელი ჯარი, ვისი შვილებისაგან შესდგება მისი რიგები, ვის ინტერესებს იცავს ის და სხვა მისცა გლეხებს სკოლის უფროსმა ტალახაძემ, რომლის საპასუხოთ გამოვიდა ერთი მოხუცი მეცხვარე, მან დაუპირდაპირა ძველი და ახალი ჯარი ერთმანეთს.

მეცხვარემ ბევრი საგულისხმიერო მაგალითები მოიყვანა ამ მხრივ და ბოლოს წითელ-ჯარს და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას უსურვა ყოველთვის გამარჯვება თავის მტრებზე.

დაურიგეთ გლეხებს სკოლიდან წაღებული ახალი ჟურნალ-გაზეთები, რომელსაც ალტაცებით გვგლეჯდენ ხელიდან.

უკან გამობრუნებისას მოვაწყვეთ ტაქტიკური მეცადინეობა და ისე მოვედით ჩვენს სკოლამდე.

კურსანტი **ა. ჩაგანავა.**

სამხედრო საქმე.

სასროლო საქმე ყაზარმაში.

(ამოცანები).

ომის დროს სხვა და სხვა ნაირი ამინდებია. (მაგალითად ქარი ქრის) მოწინაამდეგე ძლიერ სწრაფად მოიწევს წინ (მაგ. ჯავშოსანი, ტანკ. კავალერია) აქ დაყოვნება შეუძლებელია. ოდნავი შეგვიანება საქმეს დაღუპავს. აქ საჭიროა დახელოვნებული—გამოანგარიშებული სროლის წარმოება და მისი ცოდნა. როგორ უნდა შესცვალო მიზანი, საით უნდა მიმართო სამიზნო წერტილები და მრავალი სხვა.

ამაში უნდა დახელოვნდეს მოლაშქრე ყველგან და ყოველთვის.

ყაზარმაში ძლიერ ნაყოფიერია სასროლო ამოცანების გადაწყვეტა.

ვსთქვათ განყოფილების უფროსმა ასეთი ამოცანა მისცა თავის არმიელებს:

მხედარი აწარმოებს მტრის წინააღმდეგ სროლას. ესროულება თითეულ კაცს. სამიზნოზე აღებულია 6 დანაყოფი. მარცხნიდან ჰქრის საშვალო ძალის ქარი; როგორ უნდა დაუმიზნოს მსროლელმა, რომ მოარტყას ტყვია მოწინააღმდეგეს?

ასეთი შემთხვევის დროს უნდა ეცნობოს არმიელებს, რომ მაგალითად კაცის სიგანე უდრის 10 გოჯს. ხოლო საშვალო სიძლიერის ქარი კი 600 ნაბიჯის მანძილზე მიზნის ცენტრიდან გადახრის ტყვიას გვერდზე 10 გოჯით, ხოლო მიზნის ნაპირიდან კი 5 გოჯით მარჯვნივ. გამოდის, რომ ასეთი შემთხვევის დროს შუაგულში კი არ უნდა დაუჭირო მიზანს, არამედ ხუთი გოჯით უფრო მარცხნივ—ცარიელ ადგილს. რადგანაც ხუთი გოჯი ამ შემთხვევაში მიზნის სიგანის ნახევარია—ჩვეულებრივად ამბობენ ნახევარი მიზნითო.

აი კიდევ ამოცანა.

მსროლელები წაწოლილი არიან შეტევისათვის. 400 ნაბიჯის მანძილზე გამოჩნდა ჯავშნოსანი, ის მოდის მარჯვნიდან—მარცხნივ ჩვენი ფრონტის წინ. განყოფილების უფროსი იძლევა ბრძანებას: ესროლეთ ჯავშნოსანს 4-ით.

როგორ უნდა დაუმიზნონ მსროლელებმა ამ შემთხვევაში?

ამას უნდა დაემატოს, რომ ჯავშნოსანი ოთხ ნაბიჯს გაივლის მანამდე, სანამ ჩვენგან გასროლილი ტყვია გაივლიდეს 400 ნაბიჯს, მისი სიგრძე ედრება 6 ნაბიჯს. თოფიდან მსროლელი და ტყვიამფრქვევზე მომუშავემ უნდა იცოდეს, რომ თუ ისინი დაუმიზნებენ ჯავშნოსანს შუაგულში, მაშინ ტყვია ასცდება უკანიდან.

ჯავშნოსანის სიგრძის ნახევარი იქნება 3 ნაბიჯი და ამიტომ, რომ უმიზნოთ არ დაიკარგოს ტყვია, საჭიროა ჯავშნოსანი ამოღებული იქნეს მიზანში ერთი ნაბიჯით წინ.

ეს ორი ამოცანა მოვიყვანეთ ჩვენ აქ, მაგრამ ასეთები შეიძლება უამრავი იყოს. თუ თითეულ თავისუფალ წუთებში ვიმეცადინებთ და გავარჯიშდებით ასეთ ამოცანებში, მაშინ შეიძლება კარგათ შევითვისოთ და გადავსწყვიტოთ ასეთი ამოცანები.

მაშინ ომის დროს თითეული არმიელი თავისით მონახავს სამიზნო წერტილს და ერთი ტყვიაც კი არ დაიკარგება უბრალოდ.

მ. ი.

სასკოლო მუშაობა საარტილერიო დივიზიონში.

(ახალწვეულებთან.)

საარტილერიო დივიზიონის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლამ უკვე დაასრულა თავისი მუშაობა გაზაფხულზე გამოწვეულ წითელ არმიელებთან. ამ უკანასკნელთა უმრავლესობა გადარიცხული იქმნა მცოდნეთა რიცხვში, ხოლო სუსტი წითელ-არმიელები შეუერთდა ახალწვეულ წერა-კითხვის უცოდინარ წითელ-არმიელებს და მასთან განაგრძნობს მეცადინეობას.

ახალწვეულები უკვე დანაწილებული არიან ჯგუფებათ, თითეულ ჯგუფს ყავს თავისი ხელმძღვანელი და დანიშნული აქვს თავისი სამეცადინო საათები. მეცადინეობა სწარმოებს ბატარიებში.

პირველ შეკრებისთანავე ჯგუფების ხელმძღვანელებმა აუხსნეს და განუმარტეს ახალწვეულებს სალიკვიდაციო სკოლების მიზანი და მისი დანიშნულება მათთვის.

მათ ერთხელ კიდევ გააცნეს ახალწვეულებს ამხ. ლენინის მოწოდება:

„ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე არ იყოს არც ერთი წერაკითხვის-უცოდინარი“-ო და მოუწოდეს მათ მუყაითობისაკენ. ახალწვეულები დიდი სიხარულით შეხვდენ მასწავლებელთა მოწოდებას და გამოსთქვეს სწავლის დიდი სურვილი „თუ კი დრო და საშვალება გვექნებაო.“

დარწმუნებული ვართ ჩვენი სკოლა კიდევ უფრო გააძლი-

ერებს თავის მუშაობას და ახალწვეულებშიაც ჩქარა მოსპობს უცოდინარობას, მშრომელთა ხალხის ამ უდიდეს მტერს. დასასრულ მადლობის ღირსია სკოლის ხელმძღვანელი ამხ. ნიჟარაძე, რომელიც სასკოლო მუშაობასთან ერთად ჩაბმულია დივიზიონის ყოველგვარ კულტურულ მუშაობაში და ენერგიულად მოქმედებს.

სამხკორი **ლ—ო.**

ლეგიონის კამენდანტო, მოგვეცით სინათლე.

პირველ ლეგიონის მე-5-თე ასეულში ყოველივე მოვაგვარეთ შესძლების და გვარად, მაგრამ უსინათლობა გვიშლის ხელს. არა გვაქვს საკმარისი სინათლე, ელექტრონის სანთურები, ხშირად ისთე გვიხდება ამოკითხვა რომ ერთ მეორეს ვერ ვცნობილობთ.

შემდეგ ამავე ასეულს აქვს პირისაბანი, იქაც არ არის სინათლე. კომენდანტი არა ერთხელ შეგვპირდა, რომ მივიღებ ზომებსო, მაგრამ დაპირებაა და მეტი არაფერი. დღეს, ხვალ და ამით გვაკმაყოფილებენ.

საჭიროა ჩვენი უფროსები ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდენ ამას. დაპირება და ლამაზი სიტყვები არ კმარა. სიტყვა საქმეთ უნდა იქცეს.

ეს კიდევ ცოტაა. პოლიტ-საათის ჩატარება ძლიერ ცუდ პირობებში უხდება პოლიტ-ხელს, არა გვაქვს სკამები რომ მოლაშქრეები დავაჯდინოთ ზედ. ამაზე სამნეო ნაწილის უფროსი და კამენდანტი კი არ იწუხებენ თავსაც, აღარც ლენინის კუთხეშია სკამები.

გვპირდებიან, მოგცემთო მაგრამ თვე გადის და ისევ ისეთი მდგომარეობაა. ეს არ არის დიდი საქმე.

ამის მოგვარება დიდ შრომას არ მოითხოვს, და იმედია გამოასწორებთ კამენდანტო და სამნეო ნაწილის უფროსო.

სამხკორი **შ. გამურელიძე**

პარტიული ცხოვრება

პირველ კომუჯრედში.

5 დეკემბერს შესდგა მე 3-მე ლეგიონის პირველი კომუჯრედის კრება, რომელსაც წევრების გარდა, უპარტიო წითელ არმიელებიც დაესწრნენ. კრებამ მოისმინა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: სომხეთის გასაბჭოების ოთხი წლის თავზე, პარტიის არაპროლეტარულ შემადგენლობის გადასინჯვის გამო, შტაბის ასეულის პოლიტ-ხელის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ და მიმდინარე კითხვები.

სომხეთის გასაბჭოებიდან ოთხი წლის შესრულების გამო, სიტყვით გამოვიდა ამხ. გეგია. მან გაგვაცნო სომხეთის მუშურ-გლეხური ხელისუფლების ოთხი წლის ისტორია, მისი გასაბჭოების დღიდან და შემდეგ აღნიშნა ისიც, თუ რა პირობებში მოხდა სომხეთის განთავისუფლება, კონტრრევოლიუციონურ დაშნაკელებისაგან.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. თავართქილაძემ.

მომხსენებელმა გარკვევით აღნიშნა თუ რათ სჭირია კომუნისტურ პარტიას ასე ხშირ-ხშირად მოახდინოს თავის რიგების გადასინჯვა და განდევნოს იქედან ისეთი პირები, რომლებიც შემოდიან პარტიაში თავისი პირადი ცხოვრების მოწყობის მიზნით.

შემდეგ ამხ. გადავიდა იმაზე, თუ რა რიგათ იზრდება პარტია, არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ მთელ მსოფლიოში.

მომხსენებელმა თავის უკანასკნელ სიტყვებში მოუწოდა ამხანაგებს ფრთხილათ იდგენ პარტიის სადარაჯოზე რათა არავინ შემოგვეპაროს ისეთი, რომელიც მხოლოდ თავის კერძო ინტერესებზე ფიქრობს. შორს ჩვენგან ასეთი ელემენტებიო.

მოხსენება მეტად საინტერესო აღმოჩნდა. ორივე მოხსენებაზე კრებამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა შტაბის პოლიტ-ხელი ამხ. ბოკუჩავა თავისი მუშაობის შესახებ. კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო მისი მოქმედება.

პარტკორი **ა. ჭკადუა.**

ჩვენი კომუჯრედის დანაწილება.

ამ უკანასკნელ ხანებში ქართულ მეთაურთა სკოლის კომუჯრედი ძლიერ გადიდდა. აუცილებელი შეიქნა მისი დანაწილება, რადგან ამას მოითხოვდა მუშაობის ნაყოფიერად წარმოების ინტერესები.

უჯრედი გაიყო სამ ნაწილად. თითეული ნაწილი სრულიად ჩამოყალიბებული უჯრედის სახით სათავეში ჩაუდგა ასეულებს..

ყველა განყოფილებები მიმაგრებული იქნენ ასეულების კომუჯრედებზე. ამორჩეული იქნენ ბიუროები, რომლებიც შესაფერ ხელმძღვანელობას გაუწევენ უჯრედებს.

მესამე ასეულის ბიუროს ამოსარჩევად მოწვეული იქნა 4 დეკემბერს ასეულის კრება. კრებაზე უნდა აგვერჩია აგრეთვე საკონსულტაციო ბიუროც.

მცირეოდენი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ბიუროში ამორჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: ამხ. ფაჩულია, რინობიძე და ჩაგანავა; კანდიდატებათ ამხ. ამხ. ჯაში და მაღალაშვილი.

ამოვირჩიეთ საკონსულტაციო ბიუროს წევრებიც.

ახლად ამორჩეულ კომუჯრედების წევრებს ბევრი სამუშაო აქვთ. უსურვებთ პირნათლად აესრულებიოთ თავიანთი მოვალეობა.

პარტკორი **ნ.**

მეცნიერება და ტეხნიკა.

წვიმის გამოწვევა ხელოვნურად.

მოსკოვის აეროლოგიური ობსერვატორიის დირექტორმა ვიტკევიჩმა შესძლო ღრუბლებიდან წვიმის გამოწვევა ხელოვნურად. ღრუბლებიდან წვიმის ხელოვნურად გამოწვევა ჯერ კიდევ ამერიკაში მოახდინეს.

მოსკოვის ობსერვატორიის დირექტორმა კი შემდეგნაირად დააყენა ეს ცდა: წნევის ზეგავლენით: მილებიდან გამოსული წყლის ორთქლი იკუმშება და სრულიად ავსებს კამერას ღრუბლით. კამერის ზევით მოთავსებულია ელექტროსტატიური ვიმპერსის მანქანა, რომლის ერთი კონდუქტორი უერთდება მიწას და მეორე კი შეერთებულია ერთგვარ ძაბრთან. თუ მანქანა ამუშავდა და ხსენებულ ძაბრში კი ჩაიყარა გამშრალი წვრილი ქვიშა, მაშინ ეს ქვიშა ძაბრის მილიდან გამოდის უკვე ელექტრობით დატენილი და ქვიშის ნაწილები გაურბიან ერთმანეთს. საკმარისია მანქანის მოქმედება არ შესწყდეს რამოდენიმე წუთს, რომ კამერაში მოთავსებული ორთქლი წყლად იქცეს.

ამ ჟამად ხსენებული დირექტორი ახდენს შემდეგ ცდებს ამ მიმართულებით: ის არკვევს თუ რა სიდიდის ქვიშა უფრო გამოდგება ამ მიზნით, დალექილ სინოტივის რაოდენობას, ქვიშის მოქმედების რადიუსს, წყლის ორთქლის-წყლად ქცევის სიჩქარეს და სხვა.

გარდა ამისა სწარმოებს ცდები ბუნებრივი ღრუბლები წყლად გადაქცევის მიმართულებათაც.

აქაც ამავე საშვალებით, ი. ელექტრობით დატენი ქვიშის ღრუბლებში გატარ ბით.

წარმოებულ ცდებისაგან მი ღებულ მეტად მნიშვნელოვა ნი შედეგების გამო ხსენებულ მა ობსერვატორიამ შუამდგომ ლობა აღძრა რესპუბლიკ სამხედრო-საჰაერო ძალებ უფროსის წინაშე, რათა უკანასკნელმა მისცეს ინსტ ტუტს საშვალება ხსენებულ ცდების ბუნებრივ პირობებ მოსახდენად. სახელდობრ, ღრუ ბლებიდან წვიმის გამოწვევ მოახდინონ ხსენებული წესი ჰაეროპლანებიდან.

ჩვენი სოფლის ცხოვრება

სკოლების შეკეთება.

ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომმა გადასდო ათასი მანეთი სოფლის სკოლების შესაკეთ ბლათ, მაზრის ფარგლებში.

ახალჭალის ხიდი.

ლეჩხუმის აღმასკომმა დაადგინა ახლო ხანში შეუდგეს სოფ. ახალჭალაში ხიდის აგ ბას.

ელექტრო-მანქანის ამუშავება.

თელავის აღმასკომმა დაადგინა საჩქაროთ შეუდგეს გაფუჭებულ ელექტრო მანქანის შეკეთებას, რომელიც უმოქმედოთ იდვა ომიანობის წი დროიდან, რისთვისაც გად დო 1.200 მანეთი.

კვირეულის ჩატარება.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თავის დროზე აკრეფის მიზნით სამაღმასკომის დადგენილებით ლეჩხუმის მა რაში ჩატარებულ იქნება გა საკუთრებული კვირეული.

წერა-კითხვის უცოდინარნი.

უკანასკნელი ცნობებით მთელ სენაკის მაზრაში ამ ჟამად ირიცხება 20 ათასი წერ კითხვის უცოდინარი.

ზეკარის გზა-ტკეცილი.

საქ. გზა-ტკეცილების სამართველომ გადასწყვიტა საჩქაროთ შეუდგეს ზეკარის (ქუთ. მაზრა) გზა-ტკეცილის შეკეთ ბას.

ტყის დაცვა.

ტყის მოშენებისა და დაცვის მიზნით ლანჩხუთის სარაიონო ტყეში აიკრძალა საქო ლის გაშვება.

ახალი ამბები.

— **წითელ-არმიელთა წერილები.** ფოსტა-ტელ. სახ. კომისარიატმა მისწერა ქვემდებარე ორგანოებს რომ წერილები, რომლებზედაც აღნიშნული „პოლიტმხედარის" ან „კაზაკის", სახელწოდებით მისამართი გადაეცემათ უფასოთ დანიშნულებისამებრ.

— **ლენინგრადის სასარგებლოთ.** ფ.-ტელ. კომისარიატმა გამოუშვა მარკები ლენინგრადის სასარგებლოთ. მარკების შეძენა ნებაყოფლობითია.

— **მიმოფრენა სოხუმთან.** 7 დეკემბერს ტფილისიდან გაფრინდა ა. კ. საჰაერო ფლოტი საზოგადოების აეროპლანი აეროპლანზე იჯდენ ამხ. ს. ორჯონიკიძე, შ. ელიავა და ლაკობა.

— **მეფუტკრეობის განსავითარებლათ.** მიწად მოქმ. კომისარიატმა ამერიკიდან გამოიწერა ფუტკრის გადამდ ავათმყოფობის (სიმყაყის) წ მალი.

— **აგარაკი წყალტუბ** საქ. სახ. კომის. საბჭომ დ ტკიცა ჯანსახკომის მიერ წა მოდგენილი პროექტი წყა ტუბოს საკურორტო საზღვ ბისა და მისი მოვლა-შენახ შესახებ.

— **სახალხო სასამართლო ბი სვანეთში.** საქ. სახ. კომ საბჭომ დაადგინა ზემო—ს ნეთში გახსნას კიდევ ე სახალხო სასამართლო და მ წყოს ერთი საგამომძიებლ რაიონი.

— **საექიმო იარაღების საძენათ.** ჯანსახკომს გად ბული აქვს 11.090 მან საზღვარ გარეთ საექიმო ია ლების შესაძენათ.

პასუხისმგებელი
რედაქტორი ლ. ჩანტ

სარწმუნოება და მეცნიერება.

მავნე სულები თუ ავადმყოფობა?

წინა წერილში ჩვენ გვქონდა აწერილი ავადმყოფობა, რომელსაც ეწოდება ლეტარგიული ძილი და ავღნიშნეთ ისიც, თუ როგორი შეხედულების იყვნენ ამ ავადმყოფობაზე ცრუმორწმუნე ადამიანები.

არის კიდევ ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც მეცნიერული ენით ეპილეპსია ეწოდება; ამ ავადმყოფობას ჩვენში ბნედას უძახიან. ხსენებულ ავადმყოფობის უფრო რთულ სახეს ეწოდება ისტერიო-ეპილეპსია. ეს უკანასკნელი გავრცელებული იყო მეტად საშუალო საუკუნეებში, განსაკუთრებით მონასტრებში და საერთოდ იმ ადგილებში, სადაც თავმოყრილი იყო უფრო ქრისტიანული მორწმუნენი.

ეს ავადმყოფობა, როგორც ლეტარგიული ძილი წარმოსდგება ნერვების აშლილობის ნიადაგზე.

მონასტერი ცრუმორწმუნეობის ბუდე იყო.

აქედან ადვილი გასაგებია ის მოვლენა, თუ რატომ ჰქონდა მას ადგილი მონასტრებში და საერთოდ მორწმუნეთა შორის. მორწმუნე ადამიანები ხანგრძლივი მარხულობასა და ლოცვაში ატარებდენ უმეტეს დროს და ასუსტებდენ თავის სხეულს. ამასთან მათ სწამდათ ყოველგვარი ეშმაკი და ავი სული და მუდამ იმის ფიქრში იყვნენ, რომ როგორმე ავი სულებისთვის დაეძლიათ და არ გამხდარიყვნენ „საიქიოს" მათი მსხვერპლი. მარხულობით და ლოცვით იქამდის მიდიოდა მორწმუნე ადამიანი, რომ მისი ორგანიზმი და აზროვნება გამოდიოდა ნორმალურ მდგომარეობიდან, ულიზიანდებოდნენ ნერვები და ამ რიგად ნიადაგი უმზადდებოდა ავადმყოფობას.

ისტერიო-ეპილეპსიით შეპყრობილი ავადმყოფი უცებ წაიქცეოდა, მორთავდა უცნაურ ყვირილს და ბღავს, აგინებდა როგორც ეშმაკებს, ისე ღმერთს და სასულიერო პირებს. მისი სხეული საშინლად იგრიხებოდა, სახე დაენგრეოდა და თვალები უცნაურ გამომეტყველებას იღებდა. ეს განმეორდებოდა რამოდენიმეჯერ ზედიზედ და შემდეგ ავადმყოფი დაწყნარდებოდა.

როგორ „აქიმობდენ" ღვდლები სნეულებს.

სამღვდელოება ამაზე ამბობდა, რომ მორწმუნემ ვერ გაუძლო ეშმაკის ცდუნებასო და ლოცვით სცდილობდა გაედევნა „მავნე სული" ავადმყოფის სხეულისაგან.

ხშირი იყო შემთხვევა, რომ „მავნე სული" არ ემორჩილებოდა მღვდლის შელოცვებს და ავადმყოფს არ ანებებდა თავს. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფს სწვავდენ კოცონზე, როგორც განუკურნებელს და სამუდამოდ ეშმაკის მხარეზე გადასულს.

ბნედის წარმომშობი მიზეზიც იგივეა, რაც ისტერიო-ეპილეპსიის. ეს ავადმყოფობა ბევრ ჩვენგანს უნახავს. მაგ. მიდის ქუჩაში კაცი, უცებ დაეცემა ძირს. სხეული დაეკლაკნება, სახე დაენგრევა და ცოტახანს შიგნით ქაფი მოადგება პირზე. ამ მდგომარეობაში იმყოფება ის რამოდენიმე ხანს. ბოლოს ადგება, რამდენიმე წუთის შემდეგ კარგად გრძნობს თავს.

ჩვენში ასეთ შემთხვევაში ავადმყოფს გაუჭრიან დანით ნეკს. ეს ჩვეულება ცრუმორწმუნეობის ნაშთია.

ძველად ასეთ ავადმყოფს გაუჭრიდენ სხეულის ამა თუ იმ ნაწილს იმ მიზნით, რომ გაეგოთ—ავადმყოფი ავი სულით არის შეპყრობილი თუ არაო. თუ ასეთი ოპერაციას ვერ იგრძნობდა ავადმყოფი, ცრუმორწმუნეთა შეხედულებით ეს იმას ნიშნავდა, რომ ავადმყოფში „ჩაფრენილია" ეშმაკიო.

ასე სწამდათ წინად. მაგრამ სიბნელემ და ცრუმორწმუნეობამ თანდათან დაუთმო პოზიცია მეცნიერებას და იქ, სადაც მოქმედებდა ღვდელი ლოცვითა და ჯვარით, დღეს მოქმედებს მეცნიერება და თავისი ჩაუქრობი ლამპარით აშუქებს სიბნელესა და სპობს უვიცობას.

№.

ნ. ფ. ს. ც სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. ტირაჟი 1500